მარნეულის კოლეჯი
COLLEGE OF MARNEULI

შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

2020-2021 სასწავლო წელი

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის, -შორენა ალაგარდაშვილის მიერ.

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

1. კვლევის მიზანი; კვლევის ამოცანები;
2. საკვლევი საკითხი; სამიზნე ჯგუფი; მეთოდოლოგია
3. თემის აქტუალობა
4. კვლევის შერჩევა
5. კვლევის შეზღუდვა
6. კვლევის მონაცემები
7. დასკვნა

კვლევის მიზანი

- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა პროფესიული პროგრამითა და პროფესიული სასწავლებლით;
- კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობის შესწავლა;

კვლევის მთავარი ამოცანები

- კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
- ინფორმაციის შეგროვება კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით;
- დაუსაქმებლობის შემთხვევაში ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;

საკვლევი საკითხი

- შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების და დასაქმების მაჩვენებლის დადგენა.

სამიზნე ჯგუფი

- კოლეჯის ბოლო სამი წლის (2018,2019,2020) კურსდამთავრებულები.

კვლევის მეთოდი, ინსტრუმენტი

- მეთოდი: რაოდენობრივი
- ინსტრუმენტი: კითხვარი

თემის აქტუალობა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან მუდმივად ზრუნავდნენ საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებაზე, ცვლილებების დაშვების ფარგლებში გაატარონ ინტერვენციები, რაც ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას.

ცვლილების გასატარებლად საჭიროა ისეთი მნიშვნელოვანი საფუძვლის ქონა, როგორიც არის პსდ სწავლების პროცესით მოსარგებლე პირდაპირი პირის, კმაყოფილების მაჩვენებელი.

სწორედ აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია კოლეჯის მიერ მიზნობრივი კვლევების განხორციელება და მონაცემების ანალიზი, რაც ცვლილების ინიცირების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს.

კვლევის შერჩევა

- შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი პრინციპით
- შერჩევა მოხვდა კოლეჯში მოქმედი თითოეული პროგრამიდან
- კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბოლო სამი წლის (2018;2019;2020) კურსდამთავრებულებმა
- 84 კურსდამთავრებულიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 34-მა.

კვლევის შეზღუდვა

- კვლევის შეზღუდვად უნდა დასახელდეს კოლეჯში მსგავსი კვლევების ჩატარების გამოცდილების არ ქონა. რამაც გავლენა მოახდინა როგორც კვლევის განხორციელების პროცესზე, ასევე ცდის პირების მხრიდან კვლევაში მონაწილეობის ხარისხზე.
- 2020 წელს კორონა ვირუსის გავრცელების გამო, კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილ შერჩევას დაემატა 2018 და 2019 წლის კურსდამთავრებულები, როგორც დამატებითი ცდის პირები, რათა კვლევის განხორციელების შედეგად ყოფილიყო ის მინიმალური მონაცემები, რაც საკმარისი იქნებოდა კვლევის ვალიდურობის მისაღწევად, თავის მხრივ ვალიდურობაზე გავლენა მოახდინა კურსდამთავრებულთა მხრიდან კვლევაში ჩართულობის დაბალმა მაჩვენებელმა (84 კურსდამთავრებულიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 34-მა).

კვლევის მონაცემები

- კვლევაში მონაწილე სტუდენტების ასაკობრივი მაჩვენებელი მოიცავდა 19-დან -50 წლამდე.
- რაოდენობრივი კუთხით კი 19-დან- 30 წლამდე სტუდენტების რაოდენობაა 24, ხოლო 30-დან - 50 წლამდე 10 სტუდენტი.
- აღნიშნული 10 სტუდენტიდან 9 მდედრობითია და მათ მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამებია: პრაქტიკოსი ექთანი, ფარმაცია, საფინანსო, ხოლო 1 მამრობითი და მის მიერ შერჩეულია საოფისე საქმის საგანმანათლებლო პროგრამა.
- სქესის მიხედვით გამოკითხულ კურსდამთავრებულთა შორის 7 მამრობითი სქესია და მათ მიერ შერჩეულია ორი საგანმანათლებლო პროგრამა: საოფისე საქმე (3) და საბანკო საფინანსო (4).

კვლევის მონაცემები

- კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, კურსდამთავრებულების მიერ გამოყენებული საშუალებები.



კვლევის მონაცემები

- კურსდამთავრებულთა მოლოდინები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის დაწყებამდე



- მივიღებდი ხარისხიან პროფესიულ განათლებას
- მივიღებდი პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებას და შევიძენდი პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს
- შევძლებდი ჩემი პროფესიით დასაქმებას
- ჩამომთვლილთაგან ოთხივე მოლოდინი მქონდა

კვლევის მონაცემები

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო კურსდამთავრებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მდგრადობის შემოწმება, როგორც არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კუთხით ისე შპს მარნეულის კოლეჯში სწავლების კუთხით.

- გამოკითხულთა 32 პირმა უპასუხა - თავიდან, რომ აბარებდნენ ისევ იგივე საგანმანათლებლო პროგრამას აირჩევდნენ,
- გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (100%) დაასახელა, რომ ისევ შპს მარნეულის კოლეჯს აირჩევდნენ პროფესიული განათლების მისაღებად.
- ასევე, აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ურჩევს მეგობარს/ახლობელს/ნათესავს/თანასკოლელს პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებას. იგივე პროცენტი აცხადებს, რომ რეკომენდაციას გაუწევდა შპს მარნეულის კოლეჯს.
- გამოკითხულთა 88.2 % 10 ბალიან შკალაზე 9 და 10 ქულით აფასებს პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესთან მიმართებაში.

კვლევის მონაცემები

- კურსდამთავრებულთა მხრიდან კოლეჯის მიერ გაწეული მხარდაჭერის შეფასება სასწავლო პროცესთან დაკავშრებით.



კვლევის მონაცემები

შპს მარნეულის კოლეჯისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს დაადგინოს მისი კურსდამთავრებულების საქმიანობა:

- არიან, თუ არა დასაქმებულები?
- რამდენად მოახდინა გავლენა ჩვენთან მიღებულმა განათლებამ მათ დასაქმებაზე?
- რა გზებით შეძლეს დასაქმება?
- რა გახდა და არის ხელისშემშლელი ფაქტორი?

კვლევის მონაცემები

- *კურსდამთავრებულთა საქმიანობა*



კვლევის მონაცემები

- *დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მიერ სამსახურის მიღების გზები*



კვლევის მონაცემები

- *დასაქმებისთვის პსდ მიღებული უნარ-ჩვევების საკმარისობა*



- დიახ, საკმარისი იყო
- ნაწილობრივ, რადგან დამსამქმებლის მოთხოვნით გავიარე დამატებითი კურსი.
- განვითარებისთვის ყოველთვის საჭიროა დამატებითი კურსების გავლა
- კოლეჯში სწავლის დროს დასაქმებული ვიყავი თუმცა იქ მიღებული ცოდნა გამომადგა სამომავლოდ ჩემს სამსახურში უფრო კვალიფიცირებული კადრი ვყოფილიყავი
- არ იყო საკმარისი, დამჭირდა დამატებითი კურსები

დასკვნა

- კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ მათი მოლოდინები კოლეჯმა გაამართლა, რომ მათი გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამასთან და კოლეჯთან დაკავშირებით არის ურყევი, და რომ სხვასაც ურჩევდნენ შპს მარნეულის კოლეჯს.

- ისინი უმაღლესი ქულით აფასებენ პროგრამაზე სწავლების ხარისხს და არა მარტო მას. გამოკითხულ პირთა პასუხების სანდოობაში (თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას) გვარწმუნებს მათი მაჩვენებელი დასაქმების კუთხით, რაც გამოიხატა შემდეგში, რომ გამოკითხულ პირთაგან 22, დასაქმებულია და მუშაობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალიზაციით.